პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური



# ციფრულ სივრცეში არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება

## ვინ არის მონაცემთა სუბიექტი?

ნებისმიერი პირი, რომლის შესახებ ინფორმაციასაც ამუშავებენ (მოიპოვებენ, იყენებენ, გადასცემენ სხვა პირებს, ინახავენ და ა.შ) - მონაცემთა სუბიექტია.

მაგალითად, მონაცემთა სუბიექტია არასრულწლოვანი რომლის ელ-ფოსტის მისამართს, სახელსა და გვარსაც აპლიკაციები ამუშავებენ.

## რა არის პერსონალური მონაცემები?

ნებისმიერი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია კონკრეტული პირის იდენტიფიცირება მოხდეს - მისი პერსონალური მონაცემია. მაგალითად, სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საცხოვრებელი მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, საბანკო ანგარიშის ნომერი, პიროვნების ფოტოსურათი, აუდიოჩანაწერი, ინფორმაცია არასრულწლოვნის სასწავლო დაწესებულების, კლასის, მის მოსწრების თაობაზე, მისი ადგილმდებარეობის მონაცემები ან ინფორმაცია მისი ინტერესების შესახებ ასევე მის პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს.

თანამედროვე სამყაროში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ბავშვები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს (მაგალითად, Facebook-ი, Instagram-ი), გასართობ აპლიკაციებს (მაგალითად, TikTok-ი, სხვადასხვა სახის თამაშები), ვირტუალური რეალობის (VR) მოწყობილობებს, ვიდეოპორტალებს (მაგალითად, Youtube-ი) და სხვა. ციფრული გარემო ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს მარტივად მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, განახორციელონ კომუნიკაცია, გამოხატონ საკუთარი აზრი და სხვა. შესაბამისად, ერთი მხრივ, ონლაინ სივრცე ბევრ შესაძლებლობას იძლევა, თუმცა მეორე მხრივ, წარმოშობს გარკვეულ რისკებს ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით.

არასრულწლოვნები სხვადასხვა აპლიკაციით სარგებლობისას ვირტუალურ სივრცეში იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც რეალურ ცხოვრებაში. შესაბამისად, ციფრულ სივრცეში არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვის მხრივ საფრთხეებიც უფრო მეტია და აუცილებელია მათი ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

## ვინ ამუშავებს ციფრულ სივრცეში არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემებს?

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები ციფრულ სივრცეში შესაძლებელია დაამუშაონ როგორც ფიზიკურმა პირებმა, რომლებისთვისაც მათ უშუალოდ გახადეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი (მაგალითად, ფოტოსურათების, ვიდეოების ან სხვადასხვა შინაარსის პოსტების გაზიარებით, ასევე პირადი მიმოწერის ფარგლებში), ისე ციფრული ტექნოლოგიების მფლობელმა ორგანიზაციებმა (მაგალითად, Meta-მ (Facebook-ით, Instagram-ით, Whatsapp-ით სარგებლობისას), კონკრეტულმა ბანკმა მისი Mobilebank-ით სარგებლობისას, Google-მა (Gmail-ით, Youtube-ით, Google Maps-ით, Wallet-ით, Google Photos-ით, Drive-ით სარგებლობისას) და სხვა).

## რა შემთხვევებში და რა სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს აპლიკაციები არასრულწლოვნების შესახებ?

თითოეული აპლიკაცია ინდივიდუალურად განსაზღვრავს თუ რა სახის ინფორმაცია არის აუცილებელი მომხმარებლის რეგისტრაციისთვის. გარკვეული მონაცემების მითითება სავალდებულო შეიძლება იყოს - მაგალითად, სახელი, გვარი, ელ-ფოსტის მისამართი, ხოლო სხვა, დამატებითი მონაცემების დამუშავება კი უშუალოდ მომხმარებლის ნებაზე იყოს დამოკიდებული.

მაგალითად, Faceebook-ზე რეგისტრაცია დასაშვებია 13 წლიდან, შესაბამისად, იგი სავალდებულოდ განსაზღვრავს დაბადების თარიღის მითითებას იმისთვის რომ დაადგინოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს მომხმარებელი აპლიკაციის მომსახურების ამ პირობას. ხოლო, როდესაც Facebook-ის ბიოგრაფიაში უთითებენ სასწავლო დაწესებულებას, სად ცხოვრობენ ან ვინ არიან მათი ოჯახის წევრები - ამ ინფორმაციას არასრულწლოვანი მისი სურვილის შემთხვევაში უთითებს.

არასრულწლოვნებში გავრცელებული აპლიკაციების უმეტესობას გააჩნია კონფიდენციალურობის პოლიტიკა (ე.წ. Privacy Policy ან Privacy Notice), რომელიც ხელმისაწვდომია როგორც რეგისტრაციის, ასევე მოხმარების შემდეგომ ეტაპებზეც. იგი შეიცავს ძირითად ინფორმაციას თუ როგორ ამუშავებს აპლიკაცია მომხმარებლების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი ციფრული თამაშების, სოციალური ქსელის ან სხვა ამგვარი მომსახურების მიღებისას მნიშვნელოვანია იცოდეთ, თქვენს რა მონაცემებს დაამუშავებს ეს აპლიკაცია და რა უფლებები (მაგალითად, ინფორმაციის მიღების, წაშლის უფლება) გაგაჩნიათ როგორც მონაცემთა სუბიექტს.

## რა უნდა ბაითვაღისწინონ არასრულწლოვნებმა სხვადასხვა სახის აპლიკაციებით სარგებლობისას?

იმისათვის რომ არასრულწლოვნების მიერ სხვადასხვა აპლიკაციებით სარგებლობა უსაფრთხო იყოს და თავიდან აიცილონ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ციფრული პლატფორმების მოხმარებისას შექმნან „ძლიერი პაროლი“ და ისარგებლონ ორმაგი ავთენტიფიკაციის მეთოდით, თუ აპლიკაცია ამის შესაძლებლობას იძლევა (აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია ისეთი აპლიკაციების მეშვეობით როგორიცაა Google Authenticator);

- არ გამოიყენონ პაროლში მათთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მესამე პირებისთვისაც შეიძლება იყოს ცნობილი (მაგალითად, მომხმარებლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი/ადგილი);

- სოციალურ ქსელში გაეცნონ და ისარგებლონ „კონფიდენციალურობის პარამეტრებით“ (Privacy Settings). განსაზღვრონ, მათ რა მონაცემებზე ექნება წვდომა აპლიკაციას (ადგილმდებარეობა, კონტაქტები, ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და სხვა), პირთა წრე, ვისთვისაც მათ მიერ გაზიარებული ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი. უმჯობესია, რომ მონაცემები მხოლოდ წინასწარ განსზღვრულ ვიწრო წრეს გაუზიარონ (Only Me, Close Friends და სხვა) და ისარგებლონ ე.წ. დახურული პროფილით;

- დაფიქრდნენ, სანამ მათ შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელის მეშვეობით გააზიარებენ და ხელმისაწვდომს გახდიან პირთა განუსაზღვრელი წრისთვის. პოსტის განთავსებისას მოერიდონ დამატებითი ინფორმაციის მითითებას (მაგალითად, ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია);

- არ მოიტყუონ სოციალურ ქსელში რეგისტრაციისას მათი ასაკის თაობაზე და არ გამოიყენოთ სხვისი მონაცემები. გახსოვდეთ რომ სხვის შესახებ ინფორმაციას უნდა მოეპყროთ ისე როგორც თქვენი მონაცემების მიმართ მოპყრობას ისურვებდით;

- არ გაუზიარონ თავიანთი ან მათი მშობლების/მეგობრების ინფორმაცია უცხო პირებს, მათ შორის, პირადი მიმოწერისას (მაგალითად, სოციალურ ქსელებში, თამაშის ჩათებში და ა.შ). ეს შესაძლოა სხვადასხვა სახის საფრთხის შემცველი იყოს როგორ არასრულწლოვნებისთვის, ისე მათი ახლობლებისთვის;

- წაშალონ ის ინფორმაცია რომელიც აღარ არის მნიშვნელოვანი მათ მიერ ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობისთვის.

* * *



სოციალური ქსელები, თამაშები, გასართობი აპლიკაციები არასრულწლოვნების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათ გააჩნიათ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. იმისათვის რომ ციფრულ სამყაროში არასრულწლოვნის პირად ცხოვრებასთან და სხვა უფლებებთან დაკავშირებული საფრთხეები თავიდან იყოს არიდებული, უმნიშვნელოვანესია ამ საკითხებზე მათი ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება. ამ შემთხვევაში ისინი შეძლებენ აღნიშნული უარყოფითი გავლენების თავიდან არიდებას როგორც მათი ცხოვრების არსებულ, ისე შემდგომ ეტაპებზე.

WWW.PDPS.GE


თბილისი, ნ. ვაჩნაძის N°7, 0105

ბათუმი, ბაქოს ქ. N°48, 6010

+995 32 242 1000

OFFICE@PDPS.GE